

მათემატიკის ოლიმპიადის ტესტების ნიმუშები

V კლასი

1. დაფაზე ამოწერილია 16-დან 30-ის ჩათვლით ყველა ნატურალური რიცხვი. რამდენი ლუწი რიცხვია დაფაზე?
A. 5
B. 8
C. 12
2. თუ ორნიშნა რიცხვს გავამრავლებთ ორნიშნა რიცხვზე მაქსიმუმ რამდენნიშნა შეიძლება იყოს ნამრავლი?
A. სამნიშნა
B. ოთხნიშნა
C. ხუთნიშნა
3. 3 ვაშლი და 6 ატამი იმდენივეს იწონის რასაც 1 ვაშლი და 9 ატამი. რომელი უფრო მძიმეა ვაშლი თუ ატამი?
A. ვაშლი
B. ატამი
C. თანაბარი წონისაა
4. მართკუთხედის სიგრძეა 12სმ. პერიმეტრი კი 28სმ. რას უდრის მართკუთხედის სიგანე?
A. 2სმ
B. 5სმ
C. 9სმ
5. 4 მორიდან თითოეული 3-ჯერ სიგანეზე გადახერხეს. სულ რამდენი ნაჭერი მიიღეს?
A. 7
B. 16
C. 19